



**საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)  
OF GEORGIA**

დავით აღმაშენებლის გამზირი N80  
0102 თბილისი, საქართველო  
ცხელი ხაზი:1481(24/7)  
www.ombudsman.ge  
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

09 სექ 2024 წ.



KA000005195972524

№ 2024/4355

შპს „ილი ჯგუფის“ დირექტორს  
(ს/კ 205265808)

იაშა ჩაჩუას

ასლი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
სსდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს  
ბატონ ნიკა ცხვარაშვილს

**რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა**

**მსჯავრდებულ**

**შრომის უფლების დარღვევის შესახებ**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემონმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო იაშა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის განცხადებები და მიიჩნია, რომ შპს „ილი ჯგუფის“ მხრიდან ადგილი აქვს მსჯავრდებულის შრომითი უფლებების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

**საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები:**

განსახილველ საქმეზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი[1], სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულების და შპს „ილი ჯგუფი“-დან მოწოდებული ინფორმაციის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების შესწავლის შედეგად ირკვევა შემდეგი:

**საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 27 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულება - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და შპს „ილი ჯგუფს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N11/66 ხელშეკრულება.[2] ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად შესყიდვის ობიექტი იყო 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით



პერიოდში დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების, ესკორტებისა და სპეციალურ ღნისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეების, გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებისა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეების 73 077 497 (სამოცდაცამეტი მილიონ სამოცდაჩვიდმეტიათას ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარის ღირებულების კვებითი მომსახურება. შესყიდვის ობიექტის მომსახურების განვივის ერთ-ერთ ადგილს წარმოადგენდა N2 პენიტენციური დაწესებულება (მისამართი: ქუთაისი, ხარებაგას ქ., ბოლო მონაკვეთი). აღნიშნული ხელშეკრულების N8 მუხლის 8.1.15 პუნქტის თანახმად, შპს „ილი ჯგუფს“ ევალებოდა კვებითი მომსახურების განვივისას უზრუნველყო: თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში (მათ შორის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში) მინიმუმ 5 ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება (დასაქმებულ პირთა კანდიდატურები წინასწარ უნდა შეეთანხმებინა სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის), დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის თვეში არანაკლებ 600 ლარის ოდენობით შრომის ანაზღაურება, დასაქმებული ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ჩვეულებრივი პირობები გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით (მათ შორის, დასაქმებულთა კვალიფიკაციაზე და სხვა შესაძლებლობის განვითარებაზე ბრუნვა და სხვ.). ხელშეკრულების ამავე პუნქტში მითითებულია, რომ საკვებ ობიექტზე დასაქმებული პირის გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მითითება, დასაქმებულის უარი სამუშაოს შესრულების გაგრძელებაზე და სხვა მიზეზი, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას). 2023 წლის 11 იანვარს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და შპს „ილი ჯგუფს“ შორის 2023 წლის 11 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდზე კვებითი მომსახურების განევაზე კვლავ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/26[3] ხელშეკრულება (ხელშეკრულების ღირებულება: 103 513 770 (ას სამი მილიონ ხუთას ცამეტი ათას შვიდას სამოცდაათი ლარი)) და აღნიშნული ხელშეკრულებით კომპანიას კვლავ ევალებოდა/ევალება N2 პენიტენციურ დაწესებულებაში კვების ობიექტებზე მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა დასაქმება და დასაქმებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება (ახალი (მოქმედი) ხელშეკრულება მითითებულ საკითხზე შეიცავს წინა ხელშეკრულების იდენტურ პირობებს).

საქმის გამოკვლევისას დადგინდა, რომ შპს „ილი ჯგუფმა“ მსჯავრდებულს 2020 წლის 22 ოქტომბერს დაასაქმა მუშის პოზიციაზე და მასთან 1 წლიანი შრომითი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2021 წლის 25 მაისს კომპანიამ მსჯავრდებულს იმავე პოზიციაზე დასაქმების მიზნით გამოსაცდელი ვადით გაუფორმა 2 თვიანი შრომითი ხელშეკრულება. ასევე, 2021 წლის 1 სექტემბერს და 2022 წლის 2 მარტს გიორგი დანელიასთან კიდევ ორჯერ მიყოლებით გამოსაცდელი ვადით გაფორმდა 6-6 თვიანი შრომითი ხელშეკრულებები. ამის შემდგომ 2023 წლის 6 თებერვალს გიორგი დანელიასა და შპს „ილი ჯგუფს“ შორის გაფორმდა 1 წლიანი შრომითი ხელშეკრულება და მსჯავრდებულსა და კომპანიას შორის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო 2024 წლის 6 თებერვალს შეწყდა შრომითი ურთიერთობა.[4]

შპს „ილი ჯგუფმა“ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 01.04.2024 წლის 02-01/077 კორესპონდენციით განუმარტა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 პენიტენციური დაწესებულების დირექციის მოთხოვნას წარმოადგენდა, რომ ამავე დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულიყო მცირე დროით, რათა დაწესებულებაში განთავსებულ ყველა მსჯავრდებულს ჰქონოდა დასაქმების და ხელფასის აღების შესაძლებლობა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულებამ 2024 წლის 4 ივნისის N161197/20 კორესპონდენციით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შპს „ილი ჯგუფსა“ და მსჯავრდებულს შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში რაიმე ფორმით ჩარევას ან მითითების მიცემას ადგილი არ ჰქონია.

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში მსჯავრდებული მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად 2023 წლის 30 ნოემბერს შპს „ილი ჯგუფის მიმართ“ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N 007840 და კომპანიას მიეცა გაფრთხილება. შრომის ინსპექციის სამსახურის 2023 წლის 30 ნოემბრის მითითების (N007840) თანახმად დარღვევები არაერთი მიმართულებით გამოვლინდა. კერძოდ, შპს „ილი ჯგუფმა“ გაფორმებულ 2023 წლის 6 თებერვლის ხელშეკრულებაში მითითებული არ იყო ძეხვის/საფხვლის სამუშაოს სახე ან აღწერილობა, რაც დამსაქმებელს აძლევდა უფლებას შრომის კოდექსის საწინააღმდეგოდ დასაქმებულისთვის ხელშეკრულებისგან განსხვავებული სამუშაო დაევალებინა. ინსპექტირების ფარგლებში ასევე დადგინდა რომ იზღუდებოდა დასაქმებულის შესვენების უფლება და დამსაქმებლის მიერ არ იყო უზრუნველყოფილი შესვენების და დასვენების უფლება (მათ შორის 7-დღიანი პერიოდის განმავლობაში არანაკლებ 24 საათისა). დამატებით, მითითებაში აღნიშნულია, რომ შპს „ილი ჯგუფმა“ 8 საათს მუშაობდა, ხოლო დამსაქმებელი შაბათ-კვირის ან სხვა დღეებში ნამუშევარ 3-5 საათს ან აღრიცხავდა. ამასთან, დადგინდა რომ სამუშაო დრო სრულყოფილად არ აღირიცხებოდა და არ დასტურდებოდა დასაქმებულისთვის მისი გაცნობის ფაქტი. დამსაქმებელმა ასევე არ უზრუნველყო განმცხადებლის ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება და მას უწევდა უქმე დღეებშიც მუშაობა. ინსპექტირებისას, ასევე დადგინდა, რომ შპს „ილი ჯგუფმა“ ანაზღაურდა (24 დღიანი ანაზღაურებადი) შვებულება და სურვილის მიუხედავად ვერ ისარგებლა ამ უფლებით.

საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე წარმოდგენილი განცხადებებში მიუთითებს, რომ შპს „ილი ჯგუფი“ სისტემატიურად არღვევდა მის შრომით უფლებებს და 2024 წლის 6 თებერვალს უკანონოდ შეწყვიტა მასთან შრომითი ურთიერთობა. მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს,



რომ პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, შრომის კოდექსით დადგენილი პირობების დაცვით, დასაქმებული იყოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დანესებულების სასაბაზოში. [5]

### სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი[6] და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა, საჯარო დანესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და ზედამხედველობას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.[7]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებებისა და თავისუფლებების აგრეთვე მათ სამართლებრივ და სოციალურ დაცვასა და მათი პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას (ნაწ. 1). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით/ფეხსაცმლით, შრომით, შრომისა და პირადი უსაფრთხოებით. პენიტენციური კოდექსი პენიტენციურ დაწესებულებას უწესებს ვალდებულებას ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყოველდღიურად უზრუნველყოს არანაკლებ სამჭერადი კვებით (მუხლი 111, ნაწ. მე-3). უდავოა, რომ შპს „ილი ჯგუფს“ 2019 წლიდან დღემდე ადმინისტრაციული ხელშეკრულებების საფუძველზე სპეციალური პენიტენციური სამსახურისგან დელეგირებული აქვს პატიმართა კვების მომსახურების განვეის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე სპეციალური პენიტენციური სამსახურისგან იღებს შესაბამის ანაზღაურებას. ჩამოთვლილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, შპს „ილი ჯგუფი“ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული დაფინანსებისა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის კვებითი მომსახურების განვეის უზრუნველყოფის ნაწილში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მასზე როგორც ადმინისტრაციულ ორგანოზე ვრცელდება კანონის უზენაესობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის განმსაზღვრელი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პრინციპები. კანონის უზენაესობის პრინციპი გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას საქმიანობა განახორციელოს მისთვის მხოლოდ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ისე რომ რაიმე სახის ქმედებით დაუსაბუთებლად არ შემზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

მოგესხენებათ შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით,[8] ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით[9], ასევე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით (ახალი რედაქციით 26-ე მუხლი) დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნოს/დათმო ეს სამუშაო და დაცული იყო უმუშევრობისაგან. მსჯავრდებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია პენიტენციური კოდექსით, რომლის 127-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება დასაქმდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ არასახელმწიფო დაწესებულებაში (ნაწ.3), შესასრულებელი სამუშაოსთვის ბრალდებულს/მსჯავრდებულს იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და მას უფლება აქვს მიღებული ანაზღაურება განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ (ნაწ.6). პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სანარმოს როგორც წესი დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულს/მსჯავრდებულს (მუხლი 128, ნაწ.2). მსჯავრდებულს სანარმოს საქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პენიტენციური სამსახურის ორგანიზაციული მონაწილეობით (მუხლი 128, ნაწ. 3). სანარმოსა და პენიტენციურ სამსახურს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც სანარმო იღებს ვალდებულებას, რომ ის საქმიანობას განახორციელებს პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად (მუხლი 128, ნაწ.6). პენიტენციური დაწესებულება და დამსაქმებელი ვალდებული არიან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუქმნან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო შრომის პირობები. ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის, უსაფრთხოებისა და სანარმოს სანიტარული ნორმების დაცვის წესები განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად (მუხლი 129, ნაწ. 1) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზეგანაკვეთური



მუშაობა, აგრეთვე უქმე დღეებში მუშაობა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. ამასთანავე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს (მუხლი 129, ნან. 2).

**შპს „ილი ჯგუფმა“ მსჯავრდებულნი** **ასაქმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დანესებულების სასადილოში. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა დაადგინა, რომ კომპანიასა და მსჯავრდებულს შორის 2023 წლის 6 თებერვალს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა შრომის კოდექსით დადგენილ არსიბიო მოთხოვნებს, ასევე, დამსაქმებელი სათანადოდ არ აღრიცხავდა დასაქმებულთა სამუშაო დროს, არ აძლევდა სამუშაოებს ესარგებლა კუთვნილი დასვენების და შესვენების დროით, მიეღო ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოსთვის სათანადო ანაზღაურება, ესარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით და სხვა.**

გარდა შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევებისა, საქართველოს სახალხო დამცველს სურს ყურადღება გაამახვილოს 2020 წლის 1 ივლისიდან მსჯავრდებულ და შპს „ილი ჯგუფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების სახესა და ხილოში პრობლემის გადასთან დაკავშირებულ კანონშეუსაბამობაზე. ირკვევა, რომ შპს „ილი ჯგუფმა“ ვადის ამონურვამდე, 2021 წლის 25 მაისს, შეწყვიტა ერთ წლიანი შრომითი ხელშეკრულება და იმავე პირობებზე ახალი ვადით (2 თვიანი გამოსაცდელი ვადით) დაასაქმა მსჯავრდებულნი. ასევე, შემდგომში მსჯავრდებულთან ორჯერ ზედიზედ გააფორმა გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულებები (სულ 14 თვით). მოცემული ქმედება ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ გამოსაცდელი ვადით დასაქმების მიზანს (*შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენა*), ისე გამოსაცდელი ვადისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მაქსიმალურ პერიოდს (6 თვეს). შპს „ილი ჯგუფმა“ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ვერ წარმოუდგინა დამაჯერებელი არგუმენტი თუ რა გარემოებების გამო აფორმებდა მსჯავრდებულთან 1 წელზე ნაკლები ვადით ხელშეკრულებებს. კომპანია მიუთითებდა, რომ მოქმედებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მითითებით (როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნულ გარემოებას უარყოფს N2 პენიტენციური დანესებულების ადმინისტრაცია), რათა ყველა მსჯავრდებულს მისცემოდა დასაქმების შესაძლებლობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად კვლავ ხდებოდა ნაკლები სოციალური დაცვის გარანტიების მქონე შრომითი ხელშეკრულების გაფორმება (გამოსაცდელი ვადით). საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლით განსაზღვრული წესის დარღვევით დადგენილი შრომითი ხელშეკრულებების დადების შედეგად, მსჯავრდებულს წლების განმავლობაში ეზღუდებოდა უფლება ესარგებლა კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით ან დაცული ყოფილიყო სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან. საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2021-2022 წლებში საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის შინაბამისად რომ გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები, შპს „ილი ჯგუფსა“ და შრომის არსებული შრომითი ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო უვადო და მსჯავრდებულნი დაცული იქნებოდა მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამონურვის საფუძველით სამსახურიდან გათავისუფლებისგან.

საქართველოს სახალხო დამცველს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებასაც, რომ „როგორც დასაქმებული მსჯავრდებულნი, მიეკუთვნება მონყვლად ჯგუფს, რომელსაც არ აქვს დასაქმების ფართო არჩევანი. ამ პირობებში შპს „ილი ჯგუფის“ ქმედებები, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონის უზენაესობის პრინციპთან, არღვევს სპეციალური პენიტენციური კოდექსით და საქართველოს შრომის კოდექსით დასაქმებულის დაცვის მიზნით დადგენილი სავალდებულო ნორმებს და დაუსაბუთებლად ზღუდავს მსჯავრდებულის კონსტიტუციურ უფლებას, განსაკუთრებით მწვავე შეფასებას იმსახურებს.

#### დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

მსჯავრდებულ შრომითი უფლების აღდგენის მიზნით, იმჯელოთ 2024 წლის 6 თებერვალს მასთან ხელშეკრულების ვადის გასაღლის გამო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერებაზე, საპატიმრო ვადის გასვლამდე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასა და 2024 წლის 6 თებერვლიდან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[1] 12909/23, 15415/23, 15216/23, 14576/23, 14493/23, 14193/23, 13934/24, 3517/24, 2535/24, 2539/24, 2114/24, 1547/24, 4255/24 და სხვა განცხადებები.

[2] ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT190019366.

[3] ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT220024648.

[4] შპს „ილი ჯგუფის“ 2024 წლის 6 თებერვლის N02-01/006 წერილი.

[5] 2024 წლის ივლისის 18 და N200... და N206... განცხადებები დასაქმების მოთხოვნაზე. ასევე, აღნიშნული წერილები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წლის 16 ივლისის N2024/2856 კორესპონდენციით გადაუგზავნა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, პ.1.

[7] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 3, პ.1.

[8] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი.

[9] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად



ლევან იოსელიანი